ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ზ. გამსახურდიას სანაპირო №1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 299 11 11
ministry@moesd.gov.ge

20 / ოქტომბერი / 2023 წ.

KA020138688773523

№ **15/10219**

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“
სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“

მოგესალმებით,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მუხლი 26-ის შესაბამისად სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ სკოპინგის (ბრძანება N 72 09.02.2023) და სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის“ (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი MOH 4 23 00189010 21.02.2023) სკოპინგის დასკვნების საფუძველზე, ხსენებული კანონის მუხლი 27(1)-ის შესაბამისად, შეიმუშავა საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში.

საქართველოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ გათვალისწინებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ევალება ერთი საჯარო განხილვის ჩატარება. საზოგადოების მაღალი დაინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტრო ჩაატარებს ორ საჯარო განხილვას, აქედან - პირველი სავალდებული საჯარო განხილვა ჩატარდება ჰიბრიდულ ფორმატში - ქალაქ თბილისში, ხოლო მეორე საჯარო განხილვა ჩატარდება ონლაინ ფორმატში.

საქართველოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მუხლი 34(2)-ის შესაბამისად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას დოკუმენტების საჯარო განხილვების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

საჯარო განხილვები ჩატარდება შემდეგ მისამართებზე:

პირველი საჯარო განხილვა გაიმართება ქალაქ თბილისში, თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში, სანაპიროს ქუჩა №1, III სართულზე, ოთახი №301, შეხვედრების დარბაზში „ბიჭვინთა“. **საჯარო განხილვა გაიმართება მიმდინარე 2023 წლის, 1 დეკემბერს, 11:00 საათზე.** საჯარო განხილვაზე მოხდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი ანგარიშის წარდგენის პრეზენტაცია, რის შემდეგ გაიმართება კითხვა-პასუხის რეჟიმი. საჯარო განხილვა გაიმართება ჰიბრიდულ ფორმატში. იხ. ბმული:
https://moesd.webex.com/moesd/j.php?MTID=m37a19b3d7b51e68e581d876e9043f107

მეორე საჯარო განხილვა გაიმართება სრულად ვირტუალურ ფორმატში, **15 დეკემბერს 16:00 საათზე**, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, ნებისმიერი ადგილმდებარეობიდან დაესწროს შეხვედრას. იხ. ბმული:
https://moesd.webex.com/moesd/j.php?MTID=mad664b7274ac9e0a14aafd0023460814

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის პროექტში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების სივრცითი ფაილები წარმოადგენს ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებამ შეიძლება მაღალი რისკის ქვეშ დააყენოს ელექტროენერგეტიკული სისტემის და მთლანად ქვეყნის უსაფრთხოება, მოხდეს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მასიური მწყობრიდან გამოსვლა და სისტემის პარალიზება. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ კანონზე მუშაობა, რომლის სამუშაო ჯგუფის

წევრები არიან მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“. ამასთან ელექტროგადამცემი ხაზების სივრცითი ფაილები ძალიან დიდი ალბათობით განსაზღვრული იქნება, როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის გაზიარების შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული საფრთხეებისა, შეიძლება დაირღვეს ქვემოთ ჩამოთვლილი კანონდებლობაც:

საქართველოს კანონის - **„განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ“,** მუხლი 4 - ის, სახელწოდებით - ***განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების,*** მე-2 პუნქტის მიხედვით - ***ამ კანონის მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებში*** შედის ***გ) მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები (35 კვტ და მეტი) და ქვესადგურები (110 კვტ და მეტი);***

ასევე, საქართველოს კანონის **„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“** , თავი II - **ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო საიდუმლოებას**, მუხლი 6-ის ბ.ბ) ქვეპუნქტის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება - **ინფორმაცია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემისა და რეჟიმის შესახებ, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;**

დანართები 1010 (ათას ათი) გვერდი:

- საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა;
- ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა;
- საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში;

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის დანართები:

- დანართი ა: სგშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე;
- დანართი ბ: სკოპინგის დასკვნის მოთხოვნებთან შესაბამისობის ცხრილი;
- დანართი გ: ზემოქმედებებისა და ზემოქმედებების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემაჯამებელი ცხრილი;
- დანართი დ: შემოთავაზებულ ალტერნატივებში ენერგიის წყაროების გარემოსდაცვითი და სოციალური უპირატესობები და ნაკლოვანებები;
- დანართი ე: ღონისძიებების განხორციელების კუთხით არსებული ვითარება;
- დანართი ვ: საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის მომზადებისას საზოგადოების მონაწილეობის პროცესის მიმოხილვა;
- დანართი ზ: სტრატეგიული დოკუმენტების კავშირი საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის დოკუმენტთან;
- დანართი თ: ინფორმაცია სგშ-ის საკონსულტაციო კომპანიისა და ექსპერტების შესახებ;
- დანართი ი: სივრცითი ფაილები;
- დანართი კ: ენერგეტიკული და ენერგოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომელზეც გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში გაცემულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და თანდართული რუკა.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
მტკიცებულია
ელექტრონულად

რომეო მიქაუტაძე